წლიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 14 იანვარი 1916 წ. | № 10

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ ასოებით პირველ გვერდზე სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

1916 წ. წლიწადი მეორე

1916 წ. წლიწადი მეორე

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პ რ ე მ ი ე ბ ი:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან კასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**.

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

პაზმული და სამხატვრო კრებული

„მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება ხელის მოწერა

ივანე და სოფიო ბერძნიშვილები, დარეჯან და ივანე საათაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს 16 იანვარს გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი საშების ეკლესიაში, პირველის და მესამის დაუვიწყარი მამის მეორისა მამამთილის და მეოთხისა სიმამრის

სვიმონ ზაქარიას ძის

ბერძნიშვილის

სულის მოსახსენებლად

„ახალი კლუბი“

ხუთშაბათს, 14 იანვარს 1915 წ.

გაიმართება **საოჯახო საღამო**. ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

კომ. 3 მოქმ. თარგმ. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნი: ნ. დავითაშვილი, ნ. თოიძე, ა. ქიქოძე, მარგველაშვილი; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანიშვილი, ა. იმედაშვილი, ს. გომელაური, მ. ქიაურელი და სხვ.

თეატრში შესვლა უფასოა. რეჟის. კ. ანდრონიკაშვილი.

კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ., მამაკაცები 1—05 კ.

ე ქ ი მ ი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—14—9)

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

ომის დეპეშები

12 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რუსის არტილერია მარჯვედ ესვროდა გერმანელთა პოზიციებს ფრიდრიხშტადტის ქვემოდ მდ. დვინის რაიონში. 11 იანვარს მტრის მფრინავმა ქალაქ დვინსკში ჩამოაგდო ორი ყუმბარა. ერთი ქალი იმსხვერპლეს და დაბრუნდნენ უკან. სოფ. სმილნიშკში გერმანელებმა იერიში მოიტანეს. მდ. სტრიპზე საარტილერიო სროლაა. შენიშნულია, გერმანელთა მფრინავებმა დაიწყეს რუსის ჯართა ბანაკში პროკლამაციების ჩამოყრა. როგორც ცნობები მოდის მტრის ჯარში ბევრია დაძრული, გაყინული. ბევრს პირდაპირ ითხოვენ, რადგან სამხედრო სამსახურისთვის სრულიად უსარგებლონი გამხდარან.

კავკასიის ფრონტი. აზრუმის მიმართულებით რუსები განაგრძობენ ოსმალთა ჯარების დევნას, ტყვეების წამოსხმას და დავლის წამოღებას. მელიაზგერთის რაიონში ცხენოსანთა რაზმების შეტაკება მოხდა.

——

რომი, 11 იანვარი. ლაგარონოს ღელეში 9 იანვარს ჩვენი ქვეითი ჯარი რამდენჯერმე იერიშით ეკვეთა ავსტრიელთ. ადიჟის მარცხენა ნაპირზე მტერმა ძლიერი სროლა ასტეხა ტყვიისმფრქვეველებიდან. სექსტენის ღელეში ათ იანვარს ჩვენმა არტილერიამ სროლა აუტეხა მოოს, საიდანაც მტრის რაზმები გამოსდევნა. პლეტოს ბასეინში მტერს არ ვუსვენებთ. დღისით მონტე სან-მიქელეს ფერდობებიდან საარტილერიო სროლა ასტეხა მტერმა, მაგრამ ჩვენ ¼ საათის განმავლობაში ჩავაჩუმეთ.

პარიზი, 12 იანვარი. ბელგეთში მთელი ღამის განმავლობაში საარტილერიო სროლაა ნიუპორტის რაიონში. ახალი საბუთებია იმისი, რომ გუშინ გერმანელებმა იერიშის დროს მხოლოდ ერთ პუნქტთან გაარღვიეს, სადაც რამდენიმე რაზმი გამოვიდა, მაგრამ ჩვენც ხელით სასროლ ყუმბარებით დაუხვდით და ვაიძულეთ უკან წასულიყვნენ. არტუაში მტრის იერიშს არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, საღამოთი იერიში განიმეორეს, უფრო ფართო მასშტაბით. მთელი რიგი ნაღმების აფეთქების შემდეგ გერმანელები 1500 მეტრის სიგრძეზე წამოვიდნენ იერიშით, მაგრამ ჩვენი ცეცხლით ვაიძულეთ თავიანთ სანგრების ხაზს დაჰბრუნებოდნენ. ორს ადგილას მტერმა აფეთქებული ადგილი დაიჭირა, მაგრამ საღამოთი ისევ დავიბრუნეთ. ვოგეზებში ძლიერი სროლა ავუტეხეთ ბანდესაპტის სიმაგრეებს.

ლონდონი, 11 იანვარი. მთაშავეთის მეფის მოსვლისას სადგურში დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მატარებლის მოსვლისას ქალაქის პრეფექტი შევიდა მეფის ვაგონში. მას თან ახლდა გენერალი დ'ადამი, ქალაქ ლიონის მერი, სამხედრო გუბერნატორი, იტალიის ელჩი და მთაშავეთის რწმუნებული, პრეფექტი რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით მიესალმა. სადგურიდან ქალაქის მერმა გააცილა სასტუმრომდე. ქუჩა ჯარებით იყო გამწკრივებული სამხედრო სალამის მისაცემად. ხალხი ოვაციებით ეგებებოდა. მეფე ეროვნულ ტანისამოსით ხშირად გამოდიოდა და მადლობას უცხადებდა ყველას. მალე დენიკოშენი მივიდა და მთავრობის სახელით მიესალმა. მასთან სულ 20 წუთს ისაუბრა. მეფემ დაავალა პრეფექტს მადლობა გადაუხადეთ პრეზიდენტს და მთავრობას.

ნანსი, 11 იანვარი. დილით ქალაქს გერმანელებმა კვლავ დაუშინეს ზარბაზანი. ზარალი არ არის საგრძნობელი. 2 მძიმედ დაიჭრა, ერთი სუბუქად. სროლის შემდეგ მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდნენ ქალაქის თავზე და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს.

ლონდონი, 12 იანვარი. გერმანელთა ჰიდროპლანმა გამოიფრინა დუვრთან დღის 4 საათზე. სროლა აუტეხეს, ხოლო შემდეგ გამოედევნა ინგლისელთა 2 ჰაეროპლანი.

რომი, 11 იანვარი. ავსტრიელებმა დაიპყრეს ქალაქი სკადრი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სად არის გერმანელების ჯარი?

კ. კიროვი სწერს: გერმანელებს სერბეთის ასპარეზზე საქმის მოთავების შემდეგ გაუნთავისუფლდა გელფეცის ჯარი. მათ, ეჭვი არ არის სხვა ჯარიცა ჰყავთ სათადარიგო. მაგრამ საით გადაიყვანეს ეს თავისუფალი ჯარი, სწორედ გამოცანაა. მაკენზენი, გაზეთებმა, ხან მაკედონიაში გაჰგზავნეს, ხან ბუკოვინაში, ხან დასავლეთის ასპარეზზე. ნამდვილად კი არავინ იცის სიმართლე.

რუსეთის ასპარეზზე გერმანელები მიწყნარდნენ. ბალკანეთში მხოლოდ ავსტრიელები იბრძვიან მთაშავეთის ასპარეზზე (აიღეს ლოვჩენი და ბერანა). მხოლოდ შამპანში შეუტია გერმანელების მესამე არმიამ მოკავშირეებს. აქ გერმანელებმა მასიჟის წინა სანგრები აიღეს და 420—430 ტყვე იგდეს ხელთ. მაგრამ ეს ისეთი მცირე რამ შედეგია, რომ აქ რაიმე თავგანწირულ შეტევაზე ლაპარაკიც მეტია.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენთვის ყოვლად გაურკვეველია, გერმანელების ჯარი საით წავა (ან საით წავიდნენ). ნამდვილად გერმანელებს ეხლა საფრანგეთის ასპარეზზე ჰყავთ 110—112 დივიზია. მომეტებული ჯარი აქ ჰყავთ შამპანსა და არგონებში, უფრო ნაკლები ჯარი ჰყავთ ელზას-ლორენში.

სამხრეთისაკენ არმანტიერიდან არასამდე ჰყავთ ბავარიის პრინცის მე-6 არმია 24 დივიზიამდე.

არას-ბერი-ო-ბაკის ხაზზე უდგათ ბიულოვისა მე-2, ფაბეკისა პირველი, ფონ-გერინგენისა მე-7 არმიები, სულ 23—24 დივიზია.

შამპანსა და არგონებში ჰყავთ ვიწემის მე-3 არმია და კრონპრინცის მე-5 არმია. სულ 27—28 დივიზია. შეიძლება ეხლა მოუმატეს კიდეც ჯარს.

ელზას-ლორენში მოქმედებს ფალკენ ჰაუზენის მე-7 დივიზია და გენერალ გედეს ამდენივე ჯარი.

ასე რომ საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელებს ჰყავთ მთელი ჯარის ორი მესამედი მაინც. გერმანელების მთელი საველე დივიზიები (42 და 51) საფრანგეთის ასპარეზზეა.

მაგრამ... საით გააქანეს სერბეთის ასპარეზიდან წაყვანილი ჯარი და სად რას აპირებენ—გამოცანად რჩება.

მთაშავეთის გარშემო.

ზავის პირობები.

გაზ. „ათინა“ სწერს: ავსტრია-უნგრეთისა და მთაშავეთის შორის დადებული ხელშეკრულობა დიდად ხელსაყრელია მთაშავეთისათვის და მაზარალებელი სერბეთისათვის.

მთაშავეთი ვალდებულია ავსტრიელებს ხელი არ შეუშალოს მთაშავეთის სანაპიროების სტრატეგიულად გამოყენებაში. მათ ომის დასრულებამდე არ უნდა განაახლონ საომარი მოქმედება. ავსტრია მთაშავეთს შეუერთებს მთელს ძველ სერბეთსა და ალბანეთის ჩრდილო ნაწილს, სახელდობრ სკუტარის ოლქს. ხელს შეუწყობს მთაშავეთის ეკონომიურ განვითარებას. მხოლოდ მთაშავეთი ავსტრიას უთმობს ლოვჩენის მთას. ზავის პირობები მთაშავეთის სკუპშჩინამ ხალხის დაუსწრებლად განიხილა. კრებას დაესწრო მეფე ნიკოლოზიც.

გრაფ ტისას განცხადება.

უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს გრაფ ტისას უთქვამს: მთაშავეთმა იარაღი დაჰყარა იტალიის თანხმობითაო. მთაშავეთის მეფე ნიკოლოზმა იტალიის სამეფო საგვარეულოს თავისი ასული მიათხოვა, მისი ვაჟი დანილო ეხლაც რომში იმყოფება.

მთაშავეთის ბედი.

ხმა გაავრცელეს, ვითომც ავსტრია-ჰუნგრეთისა და მთაშავეთის შორის მოლაპარაკება შეწყვეტილიყოს, მაგრამ მთავრობის ცნობა არ ადასტურებს ამ ხმებს.

სპარსეთში.

სტამბოლიდან იტყობინებიან: არაბისტანისა და ლურისტანის გენერალ-გუბერნატორმა სამსან-ეს-სალტანემ სპარსეთის ასპარეზზე მმოქმედ ინგლის-საფრანგეთის ჯარის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთის ჯარის მთავარსარდლობა იკისრა.

საბერძნეთში.

„ლოკალ-ანცეიგერ“-ს მოჰყავს საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს ნალაპარაკევი. მეფეს უთქვამს: „ავსტრია-უნგრეთ-გერმანეთის მიმართ ჩვენი გრძნობები ნებას არ გვაძლევს მათს წინააღმდეგ გავილაშქროთ. მაგრამ პოლიტიკაში გრძნობას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მე ომში ჩარევის წინააღმდეგი ვარ. ჩემი მიზანია საბერძნეთის ჯარი საღად და ხელუხლებლად შევინახო იმ დრომდე, როდესაც საბოლოვო მოლაპარაკება ჩამოვარდება ზავზე. იმ დროსათვის ხელუხლებელი ჯარის ყოლა საბერძნეთის კეთილ დღეობას უზრუნველ ჰყოფს. ამისათვის გადაწყვეტილი მაქვს კვლავ ნეიტრალობა დავიცვა და საბერძნეთის ერის ინტერესებს ვემსახურო.

ვერავითარი მუქარა და დაპირებანი ვერ შემაცვლევინებს გადაწყვეტილებასაო“.

ათინის დაცლა.

საბერძნეთის მთავრობა გეგმას ადგენს ქ. ათინის დასაცლელად.

სატახტო ქალაქის გადატანა.

ხარკოვის გუბერნიის ერთ სამაზრო ერობას თათბირი ჰქონდა და დაადგინა, მთავრობას მიჰმართოს თხოვნით, სატახტო ქალაქი პეტროგრადიდან მოსკოვში გადაიტანონ. ამ საქმეს, მათის აზრით 2 მილიარდი მანათი მაინც დასჭირდება.

გერმანული გაზეთები.

მთაშავეთის გამო გერმანული გაზეთები მეტად გულმხურვალე წერილებს ათავსებენ. გერმანელების აზრით, ავსტრია მთაშავეთს დაუთმობს სკუტარის ოლქს ქ. სკუტარით და სერბეთის ნაწილს, ხოლო სამაგიეროდ დაიჭერს ლოვჩენის მთას.

მეფე ნიკოლოზი.

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი, ზავის ჩამოგდების შემდეგ, სკუტარიში იმყოფებოდა. ეხლა სად არის, არავინ იცის.

მთაშავეთში.

ზოგიერთ გერმანულ გაზეთის ცნობით მთაშავეთში მყუდროება დამყარდა. ამბობენ ავსტრიელები პატივისცემას იმსახურებენ, რადგან საკვებ სურსათს ურიგებენო.

სად მიჰყავთ ჯარი.

სალონიკიდან იტყობინებიან, ამ ბოლო დროს საბერძნეთის საზღვრიდან გერმანეთის ჯარი ჩრდილოეთის მიმართულებით გადაჰყავთო.

მონასტირში.

ამ ჟამად 30,000 გერმანელი ყოფილა და ამდენივე ბულგარელი. ეს ჯარი ელბასანში გადაჰყავთ. მონასტირში დღისით და ღამით გერმანელთა და ბულგარელთა ჯარისკაცნი დარაჯობენ, რათა დაიცვან საკვებ სურსათის საწყობები. ორ გირვანქა ნახევარი პური ღირს სამი ფრანკი (ფრანკი 37 კაპ.).

უკანასკნელი ფოსტა

აზრუმის გარშემო.

შვედური გაზეთები იტყობინებიან: აზრუმში სწრაფად გაემგზავრა ფონ დერ-ჰოლც-ფაშა. აზრუმისაკენ სწრაფად გადმოიყვანეს მეთორმეტე კორპუსი და გალიპოლის ნახევარ-კუნძულიდან გადმოიტანეს რამდენიმე მძიმე ზარბაზანი.

ოსმალები კავკასიის ასპარეზზე.

„ნ. ვ.“-ს სიტყვით კავკასიის ასპარეზზე 200 ათასი მეომარია. აქედან აზრუმისა და ალაშქერთის მხარეს ჰყავდათ მომეტებული ნაწილი. აზრუმში ოსმალებს ჰყოლიათ 120 ათასი მეომარი. რუსის ჯარი აზრუმისკენ გალაშქრებისას მოქმედებდა სწრაფად და შეუჩერებლივ. შტაბის ცნობებში არსად არის ნახსენები ზარბაზნების სროლა. სჩანს ზარბაზნის გაუსროლელად მიიმართებიან წინ. მტრის დევნა თავგამოდებით სწარმოებდა. სურსათისათვის არავის უფიქრია, რადგანაც ოსმალების დახევის მერე გზა-და-გზა ბევრი სურსათი იყოვო.

გერმანელები სტამბოლში.

სტამბოლში სწრაფად ჩასულა 50 ათასი გერმანული მეომარი.

პუტნიკის გარდაცვალება.

კორფუს კუნძულზე გარდაცვლილა სერბეთის ჯარის მთავარსარდალი პუტნიკი.

მეეზოვე—ქალები.

„ბ. ვ.“-ს სიტყვით, რუსეთში უმცროს მეეზოვებად საცდელად ქალებს დანიშნავენ.

ეგვიპტისაკენ.

ინგლისელების ჯარმა გენერალ უოლლესის სარდლობით იერიში მიიტანა სენუსის თემის რაზმზე. ბანაკი გადასწვა და მტერი გაჰფანტა. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა. მესოპატამიაში მომქმედ ინგლისელების მთავარ სარდალი იტყობინება: 9 იანვარს რამდენიმე საათით ზავი ჩამოვაგდეთ დახოცილთა დასამარხად და დაჭრილთა ასაკრებათო. მდ. ტიგროსმა 7 ფუტზე აიწია, კუტ ელ-ამართან $2\frac{1}{2}$ ფუტზე. წყალდიდობა ხელს უშლის ჯარის მოძრაობას.

რუსეთის ახალი სესხი

პეტროგრადში დარწმუნებით ამბობენ: მთავრობა ახალ შინაგან სესხის აღებას აპირებს 2 მილიარდისას.

საბერძნეთის ასპარეზი

საბერძნეთის ასპარეზზე ეხლა მოპირდაპირეებს ჰყავთ ჯარი გალვიცისა, ბოიაჯევისა, თოდოროვისა და ნაწილი კევეშის არმიისა. აქვე მოზიდეს მძიმე ზარბაზნები. გერმანელ-ბულგარელების საომარ მოქმედებას სალონიკის მიდამოებში მახლობელ დღეებში ელიან. გერმანელებს სალონიკის დაზიანება არ უნდათ, ამისათვის მხოლოდ უკიდურეს შემთსვევაში აუტეხენ სროლას, თუმცა ამ შემთხვევაში საბერძნეთს ზარალს აუნაზღაურებს.

მეფე ნიკოლოზის ბედი.

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი, როგორც სჩანს, მოკავშირეებს დაუტყვევებიათ და საფრანგეთში გაუსტუმრებიათ. მას ნიცაში დააბინავებენ. მთაშავეთის მმართველად დაუნიშნავთ ბატონიშვილი მირკო. გზაში მეფე ნიკოლოზს არ შეახვედრებენ იტალიის მეფე-დედოფალთან. (სიძე-ქალთან). ნაბრძანებია მას ყველგან მეფურის ღირსებით მოეპყრან.

ვილჰელმი ბრძოლის ველზე.

გაზეთებში ბევრსა სწერდნენ ვილჰელმის ავადმყოფობაზე. „რეჩის“ ცნობით, ვილჰელმი განკურნებულა და 4 იანვარს აღმოსავლეთის ასპარეზზე გაემგზავრა. აქ მაკენზენს ინახულებს ბუკოვინაში. აქ მოხდება ის სამხედრო თათბირი, რომელიც გერმანელებს ამ თვის ნახევარში უნდოდათ გაემართათ.

ბრძოლის ველზე

აზრუმის მიმართულებით რუსის ჯარის ფრიად სწრაფმა მოძრაობამ და ზედ აზრუმის ფორტებისთვის ზარბაზნის დაშენამ გამოაცხოველა და გაახალისა პრესისა და საზოგადოების ყურადღება, რომელსაც ერთგვარი მოდუნება დაეტყობა ხოლმე ყოველთვის, როდესაც სამხედრო ოპერაცია ვერ ვითარდება და ერთ ფარგალში რჩება. რუსის ჯარის ზედ აზრუმზე მიდგომამ, „სტილი“ დაარღვია და როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე მრავალი ერთი მეორის მაბათილებელი ცნობა წამოვიდა დედა-მიწის ოთხივე კუთხიდან.

ნიადაგი ერთობ მადლიანია სხვა და სხვა სულიერ განწყობილების აღმოსაცენადაო. ფაქტიური ვითარების უცოდინარეობა თითეულ ამ სულიერ განწყობილებას არსებობის უფლებას აძლევს. იმ მხარეს, რომელიც ამ ომის განმავლობაში თავისთავს უფრო დაჩაგრულად გრძნობს, ასეთ წუთებში მრავალი იმედი აღეძვრება და თვალ წინ ახალი პერსპექტივები გადაეშლება. მეორე მხარეს, რომელიც თავს შედარებით „ბედნიერად“ გრძნობდა, ნაღველი შემოაწვება და სულის სიმწარეს მიეცემა. მდგომარეობის ნამდვილი დაფასება თუ შეუძლებელი არა, ყოველშემთხვევაში მეტის მეტი ძნელი ჰხდება: ოთხივ კუთხიდან წამოვიდა ცნობა ამ ახლად შექმნილ სიტუაციის გამო, აზრუმის დასახსნელად ჰოლც-ფაშა წამოვიდაო; გალიპოლის კუნძულიდან მეთორმეტე კორპუსი და მძიმე არტილერია აზრუმისკენ გამოგზავნესო; სტამბოლში სასწრაფოდ 50,000 გერმანელი ჩამოვიდაო და სხვა და სხვა. აუცილებელია ცოტა დაცდა, რუსის ჯარის ამ უცები და მოულოდნელი შეჭრის პირველ შედეგების გავლენის განელება, საჭიროა ახალი დამატებითი ცნობების მიღება, რომ შედარებით მეტის სისწორით დაფასდეს გადადგმული ნაბიჯის ნაყოფი და მისი მომავალი შედეგები.

გასულ დღე-ღამეში ბრძოლის ველზე არაფერი საყურადღებო არ მომხდარა. რიგის რაიონის შესახებ არაფერი ისმის. ფრიდრიხშტატის ქვემოდ და მდ. სტრიპის ფრონტზე არტილერიის კანტი-კუნტი მოქმედებაა.

კავკასიაში, აზრუმის რაიონში რუსები ოსმალებს აწვებიან. მელიაზგერთის მიდამოში რუსებს შეტაკება მოსდით ოსმალების ცხენოსან და ქვეითა ჯართან.

მეგრი.

თბილისი, 14 იანვარი.

დიდი დღე. საქართველოს ქრისტიანული სახიერება დაკავშირებულია წმ. ნინოს მარად უჭკნობ და ნეტარ ხატებასთან. თხუთმეტი საუკუნის წინეთ, კაპადოკიით მოსულმა ნინომ ბინა დაიდო მაყვლის ბუჩქნარში იმ ადგილას, სადაც დღესაც დგას მცხეთის გალავანში ძველი ტაძარი. ქრისტიანობის სხივი ამ ადგილიდან მოეფინა საქართველოს; იგი ოფიციალ რელიგიად იქმნა აღიარებული. მეფე მირიანი და დედოფალი ნანა გაქრისტიანდენ. საქართველოს ცხოვრებას ახალი აზრი მიეცა. მისი სულიერი და ზნეობრივი თვითყოფა ახალმა მოძღვრებამ გაანათა. ქრისტიანიზმი გადაიქცა უმტკიცეს დუღაბად ეროვნული სახიერების ამეტყველება-ჩამოსაქნელად. მრავალ საუკუნის განმავლობაში ეროვნება და სარწმუნოება ერთ და იგივე ცნებად გადაიქცა, სადაც შემოქმედ და აქტიურ დასაბამს ეს უკანასკნელი წარმოადგენდა. სხვა ფაქტორებზე უფრო მახვილად და საგრძნობლად ფაქტორი-რელიგია=ქრისტიანობა=გამოყოფდა ქართველობას გარემო ხალხთაგან და თავის თავის შეცნობას განუმტკიცებდა. მწიგნობრობა, კულტურა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მუსიკა, გალობა, დიდი გონებრივი მოძრაობა ამ მოძღვრების გარშემო გაჩაღდა. საამაყო ნანგრევები და ნაშთები მრავალ საუკუნოვან ტაძრებსა, ხელოვნების ამ განსაცვიფრებელ ნიმუშისა, რეალი გამოსახულებაა ქართველი ერის რელიგიური სისპეტაკის უნაზესი შემოქმედებისა. საქართველოს ეროვნული პიროვნება, გარეშე ქრისტეს რჯულისა, წარმოუდგენელია. ჩამოაცალეთ საქართველოს მრავალ საუკუნოვან ცხოვრებას ქრისტიანული რეზონი და თქვენ მიგემალებათ თვალთაგან საქართველოს პიროვნების ეროვნული ხილვა. ისე განუყოფელად, ისე ორგანიულად არის შედუღებული ეროვნული პიროვნება ქართველობისა ქრისტეს რჯულთან! და ამ შედუღების დასაბამი გასკვნა კაბადოკიით მოსულმა ნინომ. ამას მოწმობს მრავალი რამ. პატივისა და თაყვანისცემა იმ ასულისა, რომელმაც მარადიული და წარუხოცელი ბეჭედი დაასვა ქართველი ერის სულიერს სახეს—უზენაესი ბედნიერებაა, რომლის საზიარებლად სულიერი მარხვით და განწმენდით უნდა ემზადებოდეს ყოველი ქართველი.

ამას უნდა მიაღწიოს თანამედროვე ქართველმა მთელი ჩვენი წარსული ცხოვრების ორგანიულ განცდით, მთელის ტრადიციის გაცხოველებით საკუთარ შინაგან ცხოვრებაში. ღირსებამოსილ მოღვაწის ღირსეულად შეგნება უტყუარი წინდია შთამომავლობის სულის სიდიდისა და ხასიათის მაღალკულტუროსნობისა.

1916 წლის 14 იანვრის ზღურბლიდან წარსულ 15 საუკუნეზე გადახედვა გაგვზრდის: ბევრს რასმეს გვასწავლის. საბოლოო ანგარიშში გვეტყვის, რომ დროთა სვლაში იცვლება ძლიერება და მნიშვნელობა ამა თუ იმ ფაქტორისა, ეროვნების შექმნაში შემოქმედებას რომელიც ეწეოდა. დღეს გავიზარდენით. ეროვნება უფრო გაღრმავდა, გაშინაარსიანდა, გაფართოვდა. იგი გადასცდა სარწმუნოებას და მასზედ მაღლა დადგა. საქართველოს შემეცნება ეროვნულად ყველა სარწმუნოებას არიგებს და აძმობილებს.

ქრისტეს ჯვარი და მაჰმადის ნახევარ-მთვარე ძმობილდებიან და ერთად მორჩილად თავს იხრიან ქართული ეროვნების წინაშე.

შემარიგებელ სინტეზს, ერთიცა და მეორეც, თავის-თავად შეურიგებელნი ეროვნებაში ჰპოებს. მაჰმადის რჯულისა და ქრისტეს რჯულის ქართველები შეერთებულის ძალით, ერთ ქართულ ეროვნებას ჰქმნიან, მის დიდებას, მის წარმატებას ემსახურებიან, ზვარაკად ეწირვებიან. ეროვნების თანამედროვე შემეცნება ცალკედ აღებულ სარწმუნოებაზედ მაღლა დგას... მაგრამ ეს ოდნავათ არ გვიმსუბუქებს ზნეობრივ ვალდებულობას რომ მოწიწებით ვივსებოდეთ იმ დასაბამისადმი, რომლის კვალი ქართველთა მოდგმას გაჰყვება, ვიდრე იბრუნებს მიწა და რომელიც გასკვნა კაპადოკიის ასულმა ნინომ იმ ადგილას, საცა მცხეთაში დგას ჟამთაგან დაუმარცხები ძვირფასი ტაძარი. მოწიწებით განვიცადოთ ნინობა მთელის თავის შინაარსით...

„რაც ერთხელ სულსა ღრმად დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“...



წმ. ნინო. ნახატი ს.—ერისთავისა.

წმ. ნინოს ჯვარის გადმოსვენება რუსეთიდან საქართველოში

ცხოვრება წმ. ნინოსი.

„აჰა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგებად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქვეყანასა ჩრდილოჲსასა (ერი)სა მიმართ ქართველთა (სა: წა) რვედ სიმხნით და (ყოველთა) უქადაგე ჭეშმარიტებაჲ.“

ერთი გარდმოცემით, ჯვარი, რომლითაც ქრისტეს სარწმუნოება ავრცელება ივერიაში წმიდა ნინომ თითონ გააკეთა ვაზისაგან და თავისი თმებით შეჰკრა იმ დროს, როდესაც საქართველოში მოდიოდა და ღამე ბუჩქნარში იყო დაბინავებული.

მეორე გარდმოცემით კი ჯვარი წმიდა ნინოს თითონ ღვთისმშობელმა გადასცა და თავის წილხდომილ ივერიაში გამოისტუმრა, ჭეშმარიტების საქადაგებლად.

როდესაც წმიდა ნინომ შეატყო, რომ აღსასრული მისი მოახლოვდა, მაშინ მან ჯვარი სამუდამო შესანახად გადასცა მირიან მეფეს. მირიანმა ჯვარი საქართველოს დედა ქალაქის უდიდეს მცხეთის სობოროში დაასვენა შესანახად.

მცხეთაში ჯვარი ინახებოდა 541—წლამდის. ბოლოს ჯვარი წმიდა შუშანიკას ერგო. როგორც ვიცით წმიდა შუშანიკა 544 წ. აწამეს. წამების წინად შუშანიკას შეეშინდა, რომ ჯვარი არ დაკარგულიყო და ჩააბარა ვინმე მორჩილს, ანდრიას და სთხოვა ჯვარი საქართველოში მიეტანა. ანდრიამ ჯვარი დამალა სომხეთში ქალ. სპერში.

შემდეგ ჯვარი ანდრიას ჩამოართვა სომხის სარდალმა გრიგორი მამიკიანმა და კაპოეტის ციხეში შეინახა (ლურჯ ციხეში), საიდანაც ბოლოს ქ. ვარდანში გადაიტანეს. სომხები ჯვარს დიდის პატივითა და რწმენით ეპყრობოდნენ, ერთ დროს სამხედრო დროშის მაგივრადაც კი ხმარობდნენ.

სომხებმა, არაბების შემოსევის დროს, ჯვარი ჯერ დამალეს ყარსში და მერე ქ. ანში.

მეთერთმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელმა ქ. ანი დაიპყრო, ჯვარი საქართველოში წამოასვენა და ისევ მცხეთის ტაძარში მოათავსა.

როდესაც საქართველოს თავს რამე ხიფათი დაატყდებოდა ხოლმე და მტერი შემოიჭრებოდა, ხალხი მთისაკენ გარბოდა და ჯვარიც, სხვა ძვირფას საეკლესიო ნივთებთან ერთად, მთაში მიჰქონდათ.

წმიდა ჯვარმა მცხეთაში დაჰყო სულ 642 წელიწადი, კაპოეტის ციხეში და ვანანდაში 459 წ., ყარსში 164 წელი, ანანურის ღვთისმშობლის საყდარში 3 წელი.

(ნატროშვილი—მცხეთა და მისი სობორო.)

— 1749 წელს სამთავრისა და გორის მიტროპოლიტი რომანი, არაგვის ერისთავის შვილი რუსეთში წავიდა, თან ჩუმად წაიღო წმიდა ნინოს ჯვარიც და იქ მეფე ვახტანგის ძეს ბატონიშვილს ბაქარს გადასცა, რომელიც იმ დროს მოსკოვში ცხოვრებდა.

რუსეთში ჯვარი დაასვენეს ქართველ თავადების მამულში ნიჟეგოროდის გუბერნიაში ქალ. ლისკოვში*).

ამ გარემოებამ მეტად დაალონა მთელი ივერიის ერი. საქართველოს მეფეები თეიმურაზ II, ირაკლი II და გიორგი XII ძალიან ცდილობდნენ, რათა ივერიის ეკლესიისათვის დაებრუნებიათ ძვირფასი ნივთი, მაგრამ ამაოდ, მათ თხოვნას ყურადღებას არავინ აქცევდა. რუსეთში ჯვარმა დაჰყო 52 წელი.

1801 წელს ბაქარის შვილის შვილმა გიორგი ალექსანდრეს-ძემ წმინდა ნინოს ჯვარი საჩუქრად მიართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს.

1801 წლის 12 ენკენისთვის მანიფესტს მოჰყვა უმაღლესი რესკრიპტი იმპერატორი ალექსანდრე პირველისა, ამ რესკრიპტმა სიხარულით აღავსო ივერიის ხალხის გული.—საქართველოს დაუბრუნეს მისი ეკლესიის ძვირფასი და წმიდა ნივთი.

უმაღლესი რესკრიპტი გამოქვეყნებული იქმნა 15 ღვინობისთვეს 1801 წელს, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი იყო:

„ვიცი რა მოწიწებითა და პატივით ინახავდა ძველი დროიდან ქართველი ხალხი ამ წმიდა ცხოველმყოფელ წმიდა-ნინოს ჯვარს და ეს სიწმიდე მათ შორის იყო კეთილდღეობის დროშად, ხოლო ამ სიწმიდის იქიდან წაღების შემდეგ კი შეიქმნა ეპოქა ბრძოლისა და განხეთქილებისა. ჩვენ დიდი ხანი ვფიქრობდით დაგვებრუნებინა ქართველებისათვის ეს ღვთის საწინდარი, მათდამი სათნოყოფისა. წმიდითა და გრძნობიერი სიამოვნებით ვუგზავნი ამას ქართველ ხალხს... ეუწყოს საერთოდ ყველას მისი გადატანის ამბავი ქართველების ქვეყანაში, ეცნობოს უმაღლეს სამღვდელოებას და მოეწყოს მისი ღირსეულად მირქმა და დასვენდეს ტფილისის უმთავრეს საყდარში და იქმნეს ესე მათში ბედნიერების დაფუძნების საწინდრად, ამასთანავე ერთად დაუბრუნდეს ამ მხარეს მშვიდობა, კეთილწყობილება და ამ ჯვარის სასწაულის ძალამ განკურნოს მათი ურიცხვი იარები“...**)

1802 წლის დამდეგს ჯვარი მოასვენეს საქართველოს საზღვარზედ, აქ სოფ. სტეფან წმინდასთან ჯვარი მიიღო ქართველმა სამღვდელოების დეპუტაციამ და ქართველების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

გზა და გზა ჯვარს ურიცხვი ხალხი მოსდევდა, სოფლებში ჯვარს ალაგ-ალაგ აყენებდნენ და უმაღლესი ქართველი სამღვდელოება მოვლენას იხდიდა ურიცხვი ხალხის თანადასწრებით. 8 აპრილს მცხეთაში ჯვარს მიეგება კათოლიკოსი ანტონი, მეორე დღეს, 9 აპრილს 1802 წელს, ჯვარი დიდის ამბით თბილისში მოასვენეს და სიონის საკრებულო ტაძარში დაასვენეს. ას-მეთხუთმეტე წელი იწყება, რაც ჯვარი სიონის ტაძარში დაუძვრელად იმყოფება.

ავ. აბესაძე.

---

*) ეს თავადები მეფე ვახტანგის ჩამომავლობა იყო.

**) Утвержденіе русск. владычества на Кавказѣ т. I.

ნინო—ზე-ქალი

დღეს ქალთა დღესასწაულია, დღესასწაულის ლანდად მაინც გადირბენს ეს დღე ყველასათვის, ხოლო ჩვენთვის, ქართველთათვის იგი განსახიერებულია, სავსეა შინაარსით და უცხო რამის მომასწავებელია.

დღეს ყველა ჩვენგანის გონება წამით მაინც შეფრინდება უცნაურ შორეულში და შეჰხედავს ნაზს, უთქმელს, მაგრამ მეტყველ ხატებას წმ. ნინოსას.

აქ მე არ მინდა ეს იკმაროთ. მინდა თქვენი ფანტაზია დამუქდეს, გახშირდეს და ასეთი გამომყვეს 15 საუკუნის ადამიანთა მოქმედებით გაბმულს ჯაჭვს იქით, შევიდეთ იმ ქვეყანაში, მოვყვეთ იმ ხალხში, იმ ცხოვრების განწყობილებაში, რომელშიაც იყვავილა ნინოს სიცოცხლემ. მაშინ შევიძლიან ჩვენ დავინახოთ, შევიგნოთ და ჩავინარჩუნოთ ის, თუ რაოდენად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის სიცოცხლეში ნინო, ან და, რად აკლია დღეს ამ სიცოცხლეს არამც თუ მშვენიერება, არამედ სიკეთე.

ხილული არსებით ნაზი, ამიტომ ადვილად **ხავნები**, მხოლოდ ვნებით! მეტად დასჯილი, გაძარცული ბუნების ცოდვის შვილად ღიარებული ქალის აღმადგენელად, ჩვენი ნინო ევლინება ქვეყანას და იგივეა პირველი სიტყვა იმის მამხილებელი, რომ სიცოცხლეს ანთებს არა მარტო ხილული ქვეყნის ბრუნვა, მოქმედება, ვნება, არამედ ამ ცეცხლს ეჯვარედინება რაღაც ჯერ კიდევ ამ ქვეყნის ვნებაში მყოფი ძალა, რომელიც იშვება და ჰარმონიულად მშვენიერს სისრულეს შეჰქმნის.

სინამდვილედ იქცა ის დრო, როცა აქეთა მხარეს მომქმედმა, ანუ სიცოცხლის ცალი წვერის მატარებელმა, ნაჯანხალევმა, დაძაბუნებულმა, ვნებით მსვლელმა ქვეყანამ ობლობას ვეღარ გაუძლო, ყოფნა გაუმწარდა და იქითა მხარის, სულის, უვნებო ქვეყანაში გადასვლა მოიწადინა.

ამობრწყინდა ქრისტიანობა. და აი რაღაც უცნაურებით პასიურ ქმნილებად ღიარებული ქალი ნინო ამ ახალ ქვეყნის სულის ბრწყინვალების მწვერვალში მოექცა. დიადი, წაუშლელი, დაუვიწყარი მსახურება შეასრულა.

ეს მოხდა ჩვენს ქვეყანაში. იმ ქვეყანაში, სადაც შიშველი მწვერვალნი და ყვავილით სავსე ველნი ერთად მოქცეულან; სადაც მყინვარი მზეს სთოშავს და სადაც მზე მყინვარს დნობას ემუქრის. სწორედ ამ ბუნებაში უნდა შობილიყო ის კონკრეტიული გარჩევა, რომელიც სიცოცხლის ორ წვერ ხლართს სათავეში უნდა დასდგომოდა: ქალისა და ვაჟისა; ვაჟი და ქალი. ვაჟმა რომ თვისი სტიქიის ძალა აძლიერა სიშიშვლემდის, თრობილი ჩაკვდა. ქალმა დაჩქლამული სული გამოიღო, გაატარა და სიცოცხლეს დააჩნია, ჩააწნა. ქრისტიანობა მან ნერგა... და განა ვერ ვხედავთ რომ ჩვენი რელიგია სხვანაირი იყო?!.

ეხლა თქვენ უნდა იგრძნოთ, რომ ეს ქალის ბრალია.

წარმოიდგენთ და დამეთანხმებით, რომ მაშინდელი კი არა, დღევანდელი ვაჟებიც რომ ყოფილიყვნენ ნინოს დროს და მას გაემხილა მათთვის: მე ესა და ეს საქმე მწადიანო, ეტყოდნენ: „შენ ქალი ხარ, შვილებს აჩენ, მეტი არა შეგიძლიან რა და არც გინდაო“.

თუ მშვიდობა იქნებოდა სიყმაწვილეში ერთ სატრფიალო ლექსს დაუწერდნენ და [illegible] ბუმბულივით გა-[illegible], თავისუფალი, დიადი ძალა უნდა ჰქონოდა, რომ მიზნისთვის მიეხწივნა. აკი მისი ტანჯვა ეხლაც გამოკრთის მაშინდელი მითქმა-მოთქმის ნაშთში, რომელიც ჩვენ ხალხს კიდე შერჩენია: „წმ. ნინო ქიზიყელებმა მოკლეს თავიანთი სიკერპითაო!“

ხომ გახსოვთ, ნინომ თავის სულის მზეს გარეგნული ნიშანიც მოუნახა: გააკეთა ჯვარი ვაზისა, გადაწნა თავისი თმებით და ვნების სიმბოლო ესე დაასვენა.

მე ასე წარმოვიდგენ: ეს მოციქული თუ ვაჟი იქნებოდა ჩვენ ქვეყანაში, ნიგვზის ხეს დაინახავდა, ჩამოამტვრევდა მის ტოტს, აახეთქდა ორ ნაჭრს, გაჰკვეროცხავდა, დაარტყავდა ლურსმანს ან წასცხობდა წებოს, დააკავშირებდა და გაამაგრებდა მაღლა. გარეგნულად, დასანახად თვალში საცემი და ერთგვარად ლამაზიც იქნებოდა. მხოლოდ ნინომ სხვა სილამაზე გამონახა—სული ჩაჰბერა. ისევ სამშობლოში ნაზარდი, კარგად ცნობილი, ცრემლებად რომ დაიცლება, ვაზი ამსგავსა კაცთა თრობად ქცეულ ტანჯვას და მას წაავლო ხელი. ხოლო თავისი თმები, თმები, ეს სულის სამყოფის ჩუქურთმა წებოდ იხმარა... არავინ ჰყოლია ბუნებას ასეთი მოციქული... მან სიცოცხლის ძაფს სხვა წვერი უპოვნა და მუდამ ომის ცეცხლზე ღველფილს, მის გრძემლზე გაკუთხულს, მკლავ ძლიერს და ამიტომვე სულით რაინდს ჩვენ სამშობლოს სულის გვირგვინი ნინო ქალმა დაადგა და ჩაესვენა მისი არსის მწვერვალება.

რვა საუკუნე იცხოვრა ჩვენმა ქვეყანამ, შემდეგ ისევ სხვათა მზავსითა სიცოცხლითა და დიდებულ თამარის მეფობის ოქროს ხანათი განსახიერდა სისრულე სამყაროს ტურფა კუთხისა, საქართველოსი! აქ აშკარად ვხედავთ, თუ როგორ ახერხებს ისევ ქალი თამარი თავის ტურფად თლილი ხელებით გამოაქანდაკოს ჰარმონიულად შეთანხმებული ძლიერება ქალის და ვაჟის დასაწყისისა.

ნუ თუ არ გულს გყოფთ, არ მოელით არაფერსა?!.

დღეს ისევ დამძიმებულია ქვეყნის სიცოცხლე. ვნების მეფის სამფლობელოში უაღრესი გაჭირვებაა... მარტომ სწია ცალი წვერი სიცოცხლის ძაფისა და ვერა მოამზადა რა... უწყდება, ელეპება მასალა!!.

მაშ მოდის დრო, რომ სიცოცხლე უნდა გარდაიქმნას, უნდა გაახლდეს, სიკეთედ იქცეს, სიმშვენიერეს მიაღწიოს.

დიახ, მიახწევს კიდეც, როცა ორივე წვერი სიცოცხლის ძაფისა ნაპოვნია: ორივე ამოიხვევა, გათვალისწინდება, გადიხლართება და გადიწვნება.

მიახწევს, თუ თითქოს ფირფიტად ქცეულს ქალს სიცოცხლის ზღვაში ჩაუშვებთ, თავისუფლად ახვითქდეს მისი არსება; სუსტს მხარეს მის ბუნებისას ვაჟი ფიზიკურს სიძლიერეს უნაწილებს, ხოლო მისგან წარმომდგარს, ასე ვსთქვათ მეტაფიზიკურს ძალის სიუხვეს მიიღებს—და დიახ, სიცოცხლე სისრულით დაინთება მაშინ.

მეოცე საუკუნის სიხშირეში შევდივართ. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენ ქვეყანაში ამ სისრულემ სიცოცხლისამ ორჯელ იელვა და დაჰქუხა ქვეყანასა. აი, ისევ რვა საუკუნე მიდის და დაე ისევ აქ დაიქუხოს ახალმა სიტყვამ! დაე ჩვენ ვშობოთ ახალი ქალი და ნაბრძოლევ, დაღლილ, ტანჯულ ჩვენ ვაჟთან ერთად ჭეშმარიტება ისევ დავქუხოთ ქვეყანასა:

„აღსდგეს ზე-ქალი!
ზე-ქალი აღსდგეს!..“

ბარბარე სულხანიშვილი.

დღესასწაულის გამო „საქართველოს“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 იანვარს.

ახალი ამბავი

◆ **წმ. ნინობა.** დღეს სიონის ტაძარში, სადაც დაცულია ჯვარი ვაზისა, მთელი წირვა შესრულებულ იქმნება ქართულ ენაზე. მწირველია მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი საქართველოს ექსარხოსი. მთელ წირვას იგალობებს ქართული გუნდი თბ. ფილარმონიის საზოგადოებისა ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

◆ **ყველა დაწესებულებანი** ქართულ საკულტურო საზოგადოებათა დღეს დაკეტილი იქნება წმ. ნინოს ხსენების გამო.

◆ **არქიელი სადარბაზოდ.** გუშინ საქართველოს არქიელი პლატონი სადარბაზოდ ბრძანდებოდა ეპისკოპოსებ ლეონტისა და ანტონთან.

◆ **ძმური ნუგეში.** დღეს საღ. 8 საათიდან გაიმართება ფრიად საინტერესო სამუსიკო ვოკალური საღამო ვიოლონჩელის დამკვრელ ბ. კოპელინცკის, ოპერის მომღერ ბ. ჩიგიანის და ბ. ჩუბინაშვილის მონაწილეობით.

◆ 26 იანვარს, აკაკის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება** ჰმართავს საზეიმო სხდომას, რომელზედაც იქნებიან მოწვეულნი ქართულ კულტურულ საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და წაკითხულ იქნება მოხსენება აკაკის თაობაზე.

◆ **მთავარმა შტაბმა** უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბთან ერთად განმარტა: იმ პირთ, რომელთაც ელით სამხედრო ბეგარის გადახდა და ამჟამად სამხედრო რკინის გზებზე, მსახურებენ, მათ ეს არ ჩაეთვლებათ ბეგრის მოხდად. ეს სამსახური მხოლოდ ვადის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.

◆ **დახმარება.** ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნ ყაზბეგმა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ-დ კ. ნ. აბხაზს მიმართა, რომ იმ თანხიდან, რომელიც თავად-აზნაურობის მიერ გასანაწილებლად გადაიდო, 600 მანეთი გაიღოს ახლად დაარსებულის ქართველ კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირის ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **აკაკის ნომერი.** „თემის" მთელი №-რი, რომელიც 26 იანვარს გამოვა, მიძღვნილი იქნება აკაკის ხსოვნას.

◆ **მოსკოვის ქართულმა საზოგადოებამ** გამოუგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას ორასი თუმანი ომისაგან დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ.

◆ **დიდ-საღამოს** აწყობს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა 24 იანვარს „ახალ კლუბის" დარბაზში თვის ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **მორიგი კრება.** დღეს, 14 იანვარს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.

◆ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა, თანახმად ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობისა, გადასდო ამ საზოგადოებისათვის ამერიკულ ვაზის სანერგეს ხარჯების დასაფარავად კახეთში 4,085 მან. ამ თანხიდან 2,500 მანეთი უკვე გამოუგზავნა საზოგადოებას, ხოლო დანარჩენ 1,585 მანეთს გამოუგზავნის დეპარტამენტის მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ.

◆ **მცხეთის თიხის ქარხანაში** სტიპენდიების დასაარსებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ლ. რუდოლფმა მისცა წინადადება კავკასიის ყველა გუბერნატორებსა და კავკასიის ქალაქთა მოურავებს დანიშნონ სტიპენდიანტები ამ სასწავლებელში.

◆ **თავის მოკვლა.** 12 იანვარს დილის 11 საათზე სასტუმრო „ორიანტში" რევოლვერით თავი მოიკლა როტმისტრმა თ-დ გ. გ. ბებუთოვმა.

◆ **შრომის ბირჟაში** ქრისტეშობის თვის განმავლობაში ჩაწერილა 329 კაცი და 181 ქალი, მათ შორის რუსი 141, ქართველი 73 (58 კაცი და 16 ქალი), სომეხი 53, ოსი 18, პოლონელი 39, გერმანელი 2 და სპარსელი 3.

◆ **„ჰიქა ჩაის"** გამგეობას რომელსაც სომხის ქალთა წრე მეთაურობს ქრისტეშობისთვის განმავლობაში შემოსვლია 3,859 მ. დაუხარჯავს 2,412 მან. წმინდა მოგება დარჩენია 1,446 მანეთი.

◆ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 13 იანვარს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 156, ხუნაგიანი 29, სახადიანი 24, საოფლიანი 9, წითელი ქარიანი 1 და მენინგიტიანი 2 კაცი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** სენაკის განყოფილებამ იშუამდგომლა საზოგადოების მთავარ გამგეობის წინაშე, რომ გახსნას ახალსენაკში საავადმყოფო, რადგან ამ რაიონში მრავალი დაავადმყოფებული და დასახიჩრებული ჯარის კაცია, რომელთათვის წამლობა მიუცილებლად საჭიროა. შუამდგომლობას, სხვათა შორის, ხელს აწერს სენაკის მაზრის უფროსი ბ-ნი ჩერნოვიც. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა მთავარ გამგეობის წინაშე საზოგადოების ოზურგეთის განყოფილებამ შესახებ იმისა, რომ საავადმყოფო გახსნას საზოგადოებამ ჩოხატაურში. მთავარ გამგეობამ განიხილა ეს შუამდგომლობანი და საჭიროდ სცნა საავადმყოფოების გახსნა ახალსენაკსა და ჩოხატაურში, მაგრამ რადგან საზოგადოებას ამისათვის არ მოეპოვება საჭირო თანხა, გადასწყვიტა გააგებინოს ეს საჭიროება ქალაქთა კავშირის ბიუროს და სთხოვოს იკისროს მან ხსენებულ ადგილებში საავადმყოფოების შენახვა.

◆ **იოდის სიძვირე.** იოდის შოვნა ისე გაძვირდა ომის გამო, რომ თითქმის არც კი იშოვება აფთიაქებში. ექიმ. გადომსკის ნებართვა მიუღია კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან ბეიუკ შორის (ბაქოს გუბ.) ტბის ნაპირის იჯარით აღებისა იოდის დასამუშავებლად.

◆ **დამფუძნებელი კრება** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 14 იანვარს, დღის 12 საათზე, მოხდება პირველი საზოგადო კრება ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადებათა წარმომადგენლებისა ამ საზოგადოებათა კავშირის დასაარსებლად: კრებაზედ არჩეულ იქნებიან თანამდებობის პირნი.

◆ **პრემიების მიცემის წეს-რიგი.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა დასტოვოს ძველი წეს-რიგი საუკეთესო ნაწარმოებზე პრემიების მიცემისა.

◆ **ექიმთა კრება.** დღეს დანიშნულია ქალაქის კავშირთა საავადმყოფოების ექიმთა კრება. კრების საგანია ზომები მიიღონ ლაზარეთების სურსათის მხრივ უზრუნველსაყოფად.

◆ **ცნობების შეკრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ თავის განყოფილებებს შემდეგი ცნობები მოსთხოვა: 1. ა) დაჭრილ მეომართა გაჭირვებული ოჯახები. (კერძოთ პეტროგრადის ქართველთა საზოგადოების სიის მიხედვით). ბ) დასახიჩრებულთა გაჭირვებული ოჯახები. გ) ნამდვილ ჯარის კაცთა გაჭირვებული ოჯახები. დ) ტყვედ წაყვანილთა გაჭირვებული ოჯახები. ვ) ომში დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახები. ზ) ჯარის კაცთა შვილების მდგომარეობა. თ) ვინ ეხმარება და როგორ, ომისგან დაზარალებულთ. II. ა) ომის მიზეზით გადმოხვეწილნი სხვა და სხვა კატეგორიისა. ბ) დაბრუნებული გადმოხვეწილნი (ვინც გადმოიხვეწა პირველად და მერე ისევ დაუბრუნდა თავის კარმიდამოს). გ) თავის ბინაზე დარჩენილი, მაგრამ მაინც დაზარალებული და გაჭირვებული ომის მიზეზით. III. ა) საერთო ნივთიერი მდგომარეობა. ბ) დამშეულთა რაოდენობა. გ) წყალდიდობისაგან დაზარალებულთა ოჯახები.

◆ **წერა-კითხვის საზ. საბიბლიოთეკო სექცია სთხოვს** გამგეებს იმ ბიბლიოთეკებისას, რომელნიც გახსნილია წ. კ. საზ. მთავარი გამგეობისაგან დაუყონებლივ მიაწოდონ სექციას ცნობები თუ რა და რა ჟურნალი და გაზეთები მისდით.

◆ **წესდების დამტკიცება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების შესწორებული და შევსებული წესდება უკვე დაამტკიცა ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა. ამ 2—3 დღეში წესდებას ხელს მოაწერენ აგრეთვე საგუბერნიო მართველობის წევრები. შესწორებული წესდება უკვე იბეჭდება სტამბაში და ხუთშაბათს მზად იქნება.

◆ **უძრავ მამულის დაფასება.** დღეს, 13 იანვარს, ქალაქის გამგეობის წევრის გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით, კრება ექნებათ საბჭოს წევრებს ქალაქის უძრავ მამულების დაფასების წეს-რიგის შესამუშავებლად.

◆ **სკოლები სამაჰმადიანო საქართველოში.** როგორც ვწერდით, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს 7 პირველ დაწყებითი და 2 სასოფლო სამეურნეო სკოლა გახსნას სამაჰმადიანო საქართველოში. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ამის ნება უკვე დართო საზოგადოების მთავარ გამგეობას, მხოლოდ წინასწარ მოითხოვა ბათომის ციხის უფროსის თანხმობა. ამ უკანასკნელისაგან სიტყვიერი ნებართვა უკვე ჰქონდა მთავარ გამგეობას, ხოლო ოფიციალ ნებართვას ამ დღეებში მიიღებს. ასე რომ საზოგადოების მთავარ გამგეობას იმედი აქვს, რომ ამ დღეებში გახსნის სკოლებს.

◆ **ხორცის სიძვირის გამო.** 12 იანვარს ქალაქის გამგეობის წევრმა მ. ა. ჯაბარმა მიიწვია გამგეობაში თბილისის ყასბები; კრებაზე აგრეთვე მიწვეული იყვნენ ხმოსნები ა. ს. ბაბოვი და ბ-ნი სოსინი. თათბირის საგანს შეადგენდა ხორცის უქონლობა და სიძვირე. როგორც ყასბებმა განაცხადეს ამისი მიზეზი ის არის, რომ დიდძალ საქონელს ჯარებისათვის ჰყიდულობენ. ჯარების იჯარადარი 1 ფუთ ცოცხალ საქონელში 4 მან. 60 კაპ. აძლევს. იჯარადარმა თუ არ იყიდა საქონელი, იმისივე ხარჯით საინტენდანტო ჰყიდულობს საქონელს, რადგან იჯარადარის 60.000 მანეთი აქვს ბეთ. მაგალითად, 11 ამა თვეს საინტენდანტომ 5 მან. 60 კაპ. მისცა 1 ფუთ ცოცხალ საქონელში და 800 სული საქონელი იყიდა. კერძო ყასბები კი საქონლის მოდენას ვერ ბედვენ, რადგან ნიხრი მცირედია და ხარჯები არ იფარება. ყასბები იმ აზრის არიან, რომ ომის გათავებამდე ნიხრი სრულიად უნდა გაუქმდეს ხორცზე და მაშინ ყასბებს საშუალება ექნებათ საქონელი მორეკონ და მუდამ დღეს იქნება ხორცი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენს გაზეთის გუშინდელ ნომერში „წერილი რედაქციის მიმართ", ბოლო სტრიქონში სწერია მდივანი **ი. ფახიძე.** უნდა იყოს მდივანი **ი. ოსიძე.**

ქუთაისი.

— 11 იანვარს ქუთაისის გუბერნატორი კამერ-იუნკერი უმაღლესი სახლისა ლ. ვ. პოტულოვი გაემგზავრა დ. ახალ-სენაკში სხვა და სხვა საქმეების მოსაგვარებლად.

— ქუთაისის ფოსტა ტელეგრაფის უფროსი აცხადებს, რომ კანტორაში მარკების გაყიდვა და სხვა საქმეების შესრულება ყოველდღე იწარმოებს როგორც საქმის დღეებში ისე კვირა დღეებშიაც, საღამოს 7 საათამდის.

— როგორც ხმა დადის, ამ დღეებში ტყიბულის რაიონის ბოქაულს ნ. ბიბიკოვს სამსახურიდან ითხოვენ.

— ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის ცნობით, 5 იანვარს ქ. ოზურგეთში ლავრენტი ტიგურიძის დუქანში პორფირე ბურჭულაძეს დანით მოუკლავს ილარიონ ბურჭულაძე. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

— დიდი ხანია ქალაქის საბჭოში საკითხი აღიძრა, დაეარსებიათ საზოგადო ბანკი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს საკითხი არ ირჩევა. ბანკის გახსნას შეუძლებლად ცნობენ იმიტომ, რომ ქალაქს საშუალება არა აქვს. კარგი იქნება რომ ამ საკითხს მოაგვარებდენ, რადგანაც ბანკს შეუძლია ღარიბი ქალაქი ფეხზე წამოაყენოს.

— 11 იანვარს ქალაქის თვით-მართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს კრება. კრებაზე სხვათა შორის საკითხი აღიძრა, ქალაქმა მოაწყოს მუნიციპალური საწყობი. ქალაქმა გამოიწეროს ფქვილი, მარილი, ნავთი, სიმინდი და შაქარიო. კერძო პირებს ამ სანოვაგის მოსატანად ვაგონები არ მიეცესთ არამედ მოტანილი სანოვაგე ქალაქმა დაურიგოსო.

ბარათი

როდესაც გავხდი მე სრულწლოვანი,
დავკაცდი, წლისა ოცდაერთისა,
მაშინ სურვილმა გადამიტანა—
ფრთები მომინდა, ფრთები ღმერთისა!

ფრთები ღმერთისა, ფრთები ღმერთისა!
ვითხოვდი ესე,—ესე დამჭირდა;
ამიხდა, ღმერთი მოვიდა ჩემთან,
მაგრამ იგი ფრთებს მე არ დამპირდა.

ახლო იფრინე, ახლო იფრინე,
ღმერთო!—გეძახი, შორს ნუ დაჰფრინავ!
მაგრამ თუ მცირედ მომეახლები,
ფრთების სურვილი მიპყრობს და ვღრტვინავ:

ღმერთო გამშორდი, ღმერთო გამშორდი,
თორე ე მაგ ფრთებს ჩამოგაწეწამ!
თუ ღმერთი ფრთებს მე არ დამითმობდა,
ფრთების სურვილით რად მიპყრა ზეცამ?!...

ვაი მე, იქნებ ღმერთი გამიწყრეს,
აღარ დამირჩეს მე აღარც ერთი:
ფრთები ღმერთისა თუ არ მექნება,
მეახლოს მაინც ფრთიანი ღმერთი.

გათენებამდე გეძახი, ღმერთო!
გეძახი!.. რა ვქნა, რა ვქნა, არ ვიცი!..
გათენებისას ცეცხლი ავანთე,
ცეცხლი ავანთე... ცეცხლი! და... ვიწვი.

და ვიწვი! მაგრამ აქ რა იციან
რაგვარ სურვილთა დამწვეს თუ მოკლეს?
და ვიწვი!.. მაგრამ აქაურთათვის
დავტოვებ მაინც აქ ბარათს მოკლეს:

როდესაც გავხდი მე სრულწლოვანი,
დავკაცდი, წლისა ოცდაერთისა,
მაშინ სურვილმა გადამიტანა—
ფრთები მომინდა, ფრთები ღმერთისა!

ბაბილინა.

ს. სტეფანწმინდა (დუშ. მაზ.)

ახალ წლის ღამეს დიდი თოვლი მოყიდა, რის გამოც საქართველოს სამხედრო გზა შეკრული იყო თითქმის ორი კვირა.

ესენტუკი.

ესენტუკის მიდამოებში ქვანახშირი აღმოაჩინეს. მის დამუშავებას გაზაფხულზე შეუდგებიან.

აქეთ ყინვებმა 10 გრადუსამდე მიაღწია.

ბევრი ავადმყოფი მოდის.

მუნიციპალური მზრუნველობა სიძვირეზედ

ჩვენ უკვე გვქონდა რამდენჯერმე აღნიშნული, თუ როგორ უწყობს ხელს ქალაქის თვითმართველობა ცხოვრების გაძვირებას; რაც გამოიხატა ფქვილის, შაქრის და ხორცის სპეკულიაციის განმტკიცებაში. ყველა ამ საქმესთან მჭიდროდ იყო ხოლმე შეკავშირებული ბ-ნ ჯაბარის სახელი. ეხლა ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ შემდეგი უცნაური და ჯაბარისათვის ცნობილი ამბავი: ვინმე ვაჭარ დავიდიანცს, რომელსაც ავლაბრის ხიდთანა აქვს მაღაზია, ჰქონია გასაყიდი ერბო. ეს ერბო ბ-ნ ჯაბარის ბრძანებით „აღმოუჩენია" სავაჭრო აგენტს ქალაქიას და „რეკვიზიცია" მოუხდენია. პატრონის განცხადებაზედ, რომ ის ჰყიდის ერბოს მსურველებზედ, არ გაუჭრია და აგენტს თვით ბ-ნ ჯაბარისათვის გაუგზავნია ერთი ფუთი ერბო 62 კაპეიკის ანგარიშით გირვანქა. პატრონის პროტესტზედ ბ-ნი ჯაბარი 3000 მ. ჯარიმით დამუქრებია. მაშინ დავიდიანცს საქვეყნოდ უთქვამს, რომ იგი გაჰყიდის მუშტარზედ 62 კ. და ითხოვა, დაუძახეთ ხალხს და მე გავყიდიო. მაგრამ ჯაბარს თავისი გაუყვანია და წართმეული ერბოდან 10 ფუთი გადაუციათ თბილისის კოოპერატივისათვის, 10 ფ. ქალაქის მოსამსახურეთათვის და 10 ფუთიც ქალაქის მაღაზიისათვის. ამ რიგად დავიდიანცის ერბო მთლად მუნიციპალიტეტის განკარგულებაში მოქცეულა და, როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, ყველგან ეს ერბო უნდა გაყიდულიყო 75 კაპეიკად.

ჩვენ არ ვიცით, ზემო აღნიშნულმა დაწესებულებებმა რა ფასში შეიძინეს ეს ერბო ბ-ნ ჯაბარისაგან, მაგრამ ყველგან კი იგი იყიდებოდა განცხადების მიუხედავად—გირვანქა 1 **მანეთად.**

ასე სცდილობენ ქალაქის გამგენი ცხოვრების გაიაფებას და ბ-ნნი ჯაბარები ასე შოულობენ ერბოს 62 კაპ. მაშინ, როცა მათივე შედგენილ ნიხრში სწერია ერთი მანეთი. ამას განმარტება აღარა სჭირია, ვგონებთ.

რაე.

ღია წერილი

ქართულ წვრილ კრედიტის ამხანაგობათა მიმართ.

მალე ყველა წვრილი კრედიტის ამხანაგობანი შეუდგებიან წლიურ ანგარიშების შედგენას და წმინდა მოგების განაწილებას.

დარწმუნებული ვარ ბევრი ამხანაგობა თავის წმინდა მოგებიდგან გადასდებს მცირე თანხას მაინც რომელიმე საზოგადო კულტურულ საქმის ან დაწესებულების სასარგებლოდ: ზოგი ბიბლიოთეკისთვის, ზოგი სკოლის, ზოგი თეატრის, ზოგი რისთვის და ზოგი რისთვის...

ამნაირი განაწილება მოგებისა დაქსაქსვაა, დასუსტებაა დახმარებისა და არსებითად ვერც ერთ საქმეს ვერ შველის, ვერ აყენებს მტკიცე ნიადაგზე და ვერ აძლევს ძალას ფართო და ნაყოფიერ მოქმედებისათვის.

სულ სხვა შედეგს მივიღებთ თუ ყველა ამხანაგობები შევთანხმდებით და ჩვენ გაღებულ წვლილს **ერთ თანხად ვაქცევთ** და ამ თანხას ყოველწლივ მხოლოდ **ერთ საქმის ან ერთ აზრის განსახორციელებლად გადავდებთ**, მაშინ დარწმუნებული ვარ სურათი გამოიცვლება: ძლიერი თანხის და ერთბაში დახმარების წყალობით, საქმე სწრაფად მტკიცე ნიადაგს მოიპოვებს, გაცოცხლდება და მცირე ხანში სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს.

ვსთქვათ დღეს უსაჭიროეს საქმეთ დავისახეთ ჩვენი მოღვაწე-მწერლებისათვის აგარაკის აშენება. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა, ვსთქვათ, მხოლოდ 500 თუმანი. ამ თანხის შეგროვებას წვრილ-წვრილად, კერძო პირთა შეწირულებით მოუნდებით 3 წელიწადი მაინც, აშენებაც აგარაკისა ერთი წელიწადი (რომ ვიანგარიშოთ, გამოვა რომ ამ პატარა საქმის დასრულებას **4 წელიწადი მოუნდებით**. იმ შემთხვევაში კი, თუ ყველა ამხანაგობა გაიღებს დახმარებას მხოლოდ ამ საქმის სასარგებლოდ, მაშინ მიზანს ერთი წლის განმავლობაში მივაღწევთ.

ღვთით, ჩვენში კოოპერატიული დაწესებულებანი და წ. კრ. ამხანაგობანი სოკოსავით მრავლდებიან. დღეს, სულ ცოტა ასი კოოპერატიული დაწესებულება და ამხანაგობა მაინც იქნება. თითომ რომ თავის წლიურ მოგებიდან მხოლოდ ხუთი თუმანი გადასდოს, საჭირო თანხა 500 თუმანი ერთი თვის განმავლობაში შეგროვდება.

რომელ საქმის, რომელი მიზნის განსახორციელებლად უნდა გადიდოს ხოლმე ეს საერთო კოოპერატივებისაგან შემდგარი თანხა?

ეს საკამათო კითხვა, რომელიც ყოველ წელს თვით შემომწირველ ამხანაგობებმა უნდა გადასწყვიტონ ხოლმე, ჩემის აზრით ესე:

ეს თანხა ყოველთვის უნდა გავიღოთ მხოლოდ იმ პირის, საქმის ან აზრის სასარგებლოდ, რომელსაც ჩვენთვის მეტი ფართო—საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა აქვს. თანხა უნდა მოგროვდეს რომელიმე ქართულ კულტურულ საზოგადოების დაწებულებაში, რომელსაც ყველა შემომწირველი ამხანაგობა ატყობინებს თავის სურვილს, ვის ან რას სწირავს თავის წვლილს. კულტურული საზოგადოება მიიღებს-რა ყველა ამხანაგობისგან შეწირულებას, აცხადებს გაზეთების შემწეობით შემწირველთა სიას და მათ სურვილს ვისა სწირავს ფულს. ხმის უმეტესობით საზოგადოება სწყვეტს საკითხს ვის აკუთნოს ფული.

საჭიროა ამ საკითხის შესახებ ხმა ამოიღოს ყველა კოოპერატიულ დაწესებულებამ და წვრ. კრ. ამხანაგობამ და თავისი აზრი გაზეთის შემწეობით ამცნოს ჩვენ საზოგადოებას.

ს. წაღვერის ამხანაგობა შარშანდელი მოგებიდან გადასდებს თავის წვლილს ქართველ მოღვაწე-მწერლებისთვის აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

მ. მურვანიშვილი.

აჭარის გასაჭირი

(დასასრული)

ომიანობისაგან მიყენებულ ზარალის მიხედვით, ამ კუთხის სოფლები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1) პირველ ჯგუფში მოჰყვება სოფლები, რომლებმაც ომიანობის ქარცეცხლი განიცადეს, და რომელთა მკვიდრნიც აჰყარეს და სხვა სოფლებში გადაასახლეს. ასეთი სოფლები გახლავთ: აგარა, საღორეთი, მახუნწეთი-ულია, მახუნწეთი-სუპლა (24 კომლი), ზუნდაგა (51 კომლი), დოლოღანი (41 კომლი), ჭინქაძე (31 კომლი), [illegible] და ღოდაძე-შოთიძე ([illegible] კომლი).

2) სოფლები, რომლებიც თავისი კერიდან არ აუყრიათ, მაგრამ ამ სოფლებში ყოფილა ჯარი და სოფელს ომიანობის სუსხი უწვნევია, საქონლის დაკარგვით, საოჯახო ავეჯ-მოწყობილებისა და სამეურნეო იარაღების დაკარგვით და სხვა. ასეთი სოფლები გახლავთ: მერისი, ვაიო, დანდალო, ქვაშთა, ალიკ-ოღლი, გულები, ცხემლა, ზენდიდი, რუსოფელი, ქორომხეთი, ორთა-ხოხა, ძენცმანი, აკუწა, ზამზიარი-შაკომური, ორცხვა, კოკა-ოლი (ხერხე).

3) სოფლები რომელთაც ომიანობის ქარცეცხლი პირდაპირ არ განუცდიათ. ამათ ეკუთვნით ცხომერისა და ქედის სასოფლო საზოგადოებათა ყველა დანარჩენი სოფლები: დანდოლო (132 კომლი), ქოგოთური (39 კომლი), ხცომრისი (59 კომლი), გეგელიძე (37 კომლი), აბუქეთი (23 კომლი), ჰონთაური (30 კომლი) და სხვა. სოფელი ქედაც ნაკლებ დაზარალდა. ეს უკანასკნელი სოფლები კომლეულად არ გამოგვიკვლევია. პირველი ორი ჯგუფი სოფლებისა-კი კომლეულად არის გამოკვლეული და შესაფერ უწყებაშია აღნუსხული, სადაც დაწვრილებით არის აწერილი ყოველი კომლი, ოჯახის შემადგენლობა და ყოველი მხარე ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამ ნუსხიდან სჩანს, ყველა სოფლებში, ყველა სახლები თანაბრად არ დაზარალებულა. ზოგს დაეღუპა არა მარტო სახლის ავლა-დიდება და საქონელი, არამედ თვითონ სახლიც, ზოგს-კი დაეღუპა სამეურნეო იარაღები, ლოგინი, ხოლო მესამეთ, ამას გარდა, დაეღუპათ წლის სარჩო და სხვა.

სოფლები დაზარალებულა იმის და მიხედვით, თუ საით გაუვლია „ჩეტნიკების" რაზმებს თუ ჯარის ნაწილს.

პირველი წყების სოფლები მეტად მძიმე გასაჭირში იყვნენ, მით უმეტეს რომ ზოგი ორი სამი თვით მოჰვლიჯეს საკუთარ კერას. მეორე ჯგუფის სოფლებსაც დიდი სიმწარე ჰხვდათ განსაკუთრებით იმათ, ვისაც სახლ-კარი თავზე ჩამოენგრა ან გადაეწვა. ამისათვის დახმარების რაოდენობის გადაწყვეტის დროს ყოველივე მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული. ამის აწონ დაწონვაში შესაძლებელი იყო პირადის მოსაზრებით შეცდომაში შევსულიყავ, ამისათვის დახმარების მიცემის დროს ვისაც სახლკარ გადაბუგულთ ჯერ სულზე სამ-სამ მანათს ვურიგებდი, ხოლო სახლ გადარჩენილებს კი სულზე მანათნახევარს. მაგრამ ამ წესითაც ვერ გავაწვდინე ფული და ყველას დავურიგე სულზე მანათნახევარი.

ასე განაწილებული ფულიც აღარ მეყო და ბოლოს მოსულნი დაუკმაყოფილებელნი დარჩნენ. იმათი სია, ვისაც დახმარება არ მიუღია ცალკეა აღნუსხული.

27 ღვინობისთვეს მეორედ გავემგზავრე ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში დახმარების დასარიგებლად და დანარჩენ ადგილების საჭიროებათა გამოსაკვლევად. ამ გზობით გამოკვლეულ სოფლების საჭიროებანი აღნუსხულია მესამე სიაში.

ჩემის პირადის შთაბეჭდილებით, ყველაზე მეტად ომიანობისაგან დაზარალებულა: სოფ. სკურდიდი, ცხემლანა, ჩალახმელა, მაკლაკონი, ქვედახერთვისი, ქედ-ქედი, აჭარის-აღმართი და ჩანივრი, აგრედვე სოფ. კიშეც, საიდგანაც მოსახლეობა გადასახლებული იყო. ამ სოფლის მცხოვრებნი და მაჭახელის-პირის ერთი კომლი ომარაღა ზაქარაძე ხარკოვის გუბერნიაში იყვნენ გადასახლებულნი და უკანვე დააბრუნეს. მათ დაჰკარგეს მთელი ავლა-დიდება, საცხოვრებელი ბინები, საქონელი, ლოგინი, ოჯახის ყოველი მოწყობილობა, და სხვ. ამისათვის მათთვის საჭიროა ყოველმხრივი დახმარება: საკვები, ამ წლის ახალ მოსავლამდე, სახლკარის აღდგენა, (მანამდე კი თავშესაფარის შოვნა), მეურნეობის აღდგენა, სამუშაო და საწველი საქონელი, ლოგინი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხ.

ასეთივე დახმარება ესაჭიროებათ იმ სხვა და სხვა სოფლის მეკომურთ, რომელთა სახლები და თუ სხვა სამეურნეო შენობებიც გადაბუგულია.

მეორე ჯგუფის დაზარალებულ სოფლებად უნდა ჩაითვალოს ის სოფლები, რომლებიც 2—3 თვით მოსწყვიტეს თავის კარ-მიდამოს, თუმცა მათი სახლკარი გადაბუგვას გადურჩა, მაგ-

რამ ოჯახი დაუნიავდათ, ყოველისფრიდან ცარიელზე დარჩნენ, სახლის მოწყობილება დასტაცეს, საქონელი გაირეკეს, წლის სარჩო გამოაცალეს და სხვა. ასეთს სოფლებს ეკუთვნის: ავარა, საღორეთი, მახუნწეთი-ულია, მახუნწეთი-სუფლა, წუნდაგა, დოლოღიანი, ჰინკიძე, ბზუბზო და დოლოძეშოთიძე.

მესამე ჯგუფს ეკუთვნის ის სოფლები, რომლებმაც მეტ-ნაკლებად დაჰკარგეს ოჯახის მოწყობილობა, საქონელი, ჰირნახული თუ სხვა.

დანარჩენი სოფლები ჩემდამი რწმუნებული კუთხისა ჯერ კომლეურად არ გამომიკვლევია, რადგანაც ომიანობის ქარცეცხლი არ განუცდიათ.

1915 წლის ქრონიკა

გიორგობისთვე.

— თბილისში ჩამობრძანდა განსვენებულ თ-დ კ. ა. ბაგრატიონ-მუხრანბატონის მეუღლე კნ. ტატიანა კონსტანტინეს ასული.

— ქართველ წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში მუშათა გაფიცვა დაიწყო.

— შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება მეღვინეთა ამხ. „ალექსანდრეულის“ წევრთა.

— წერა-კითხვის 35 წლის საიუბილეო კრება დიდის ამბით დაიწყო ახალ კლუბის დარბაზში.

— დიდი მთავრინა ტატიანა კონსტანტინეს ასულმა ბაგრატიონ-მუხრან ბატონისამ ინახულა მეუღლის სამარე მცხეთაში და წირვა და პანაშვიდი ახდევინა, რომელსაც თბილისიდან და ქუთაისიდან წარჩინებული ქართველი საზოგადოება დაესწრნენ.

— ახალ კლუბის დარბაზში მეფის ნაცვლის ამალის წევრს ხარ ნახიჩევნელს დიდი ნადიმი გადაუხადა ქართველ საზოგადოების ერთმა ნაწილმა.

— საქართველოს ექსარხოსი პიტირიმი პეტროგრადის მიტროპოლიტად დაინიშნა.

— მიტროპოლიტ პიტირიმს მხურვალე მილოცვის დეპეშები გაუგზავნა თავად-აზნაურობის მხრივ თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა.

— ქართულ საქველმოქ. საზ. გადასწყვიტა 4 სასოფლო სამეურნეო სკოლა წინამძღვრიშვილისეულ სკოლის ტიპისა გახსნას აჭარაში.

— ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოებამ გადასწყვიტა შიო მღვიმელს იუბილე გადუხადოს.

— მეფის ნაცვლის მეუღლეს დიდ მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასულთან სადარბაზოდ იყო ისტორიკოსი ე. ს. თაყაიშვილი და მიართვა მასალები საქართველოს ისტორიისა.

ქარ. კულტურულ-განმან. დაწესებულ. კავშირში.

ჯერ-ჯერობით წევრებად არიან ჩაწერილი: 1) ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება და წარმომადგენლებად ჰყავს არჩეული გ. ნ. ყაზბეგი, დ. გ. კარიჭაშვილი და გ. მ. ლასხიშვილი; 2) ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ წარმომადგენლებად აირჩია პ. ა. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი და ი. ბარათაშვილი; 3) ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, წარმომადგენლები ექ. თაყაიშვილი, ალ. ყიფშიძე და ს. გორგაძე; 4) ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, წარმომადგენლები გ. ჟორდანია, იპ. ვართაგავა და პ. მირიანაშვილი; 5) ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, წარმომადგენლები თავ. დ. კ. ჩოლოყაშვილი, ალ. ყიფშიძე და ვ. ი. რცხილაძე; 6) „განათლების“ საზოგადოება, ან. მ. წერეთლისა და ეკატ. მესხისა; 7) გორის ქალთა საზოგადოება—„მანდილოსანი“, წარმომადგენელნი ანასტ. ხოშტარიასი, თამ. თარხნიშვილი და ნ. ლომაური; 8) ქიათურის დრამატიული საზოგადოება, წარმომადგენელნი ივ. გომელაური, ალ. მითიაშვილი და ნ. წუწუნავა; 9) ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება, წარმომადგენელნი ბ. ბასილია, პ. ქანიშვილი და ბ-ნი ქობულია; 10) ქართული დრამატიული საზოგადოება; 11) ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, წარმომადგენელნი ტრ. ჯაფარიძე, გრ. ი. გველესიანი და გრ. დ. გველესიანი; 12) სახალხო სახლთან არსებული ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე, წარმომადგენელნი გ. ცინცაძე, ალ. ლომთათიძე და ნ. ელიავა; 13) ქართული ფილარმონიული საზოგადოება; 14) „სინათლის“ საზოგადოება.

მთაშავეთის ბედი

ცეტინიეში ყოფილი რუსის ელჩი შჩეგლოვი ამბობს: „მთაშავეთის კაპიტულიაციამ ფრიად დამაღონა. ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად მთაშაველთ ფაქტიურად აღარ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება. მათ აღარ ჰყოფნიდათ სურსათი, ხალხი დაიმშა, იარაღი არსად იყო. აგრეთვე ჯარისკაცთა ნაკლულოვანება ფრიად თვალსაჩინო გახდა. ბოლოხანებში შიმშილობის ნიადაგზე მთაშაველთა ჯარებში სახადიც კი გაჩნდა. განა ასეთს პირობებში შეიძლებოდა ბრძოლის გაგრძელება? რაც შეეხება ლოვჩენის დაცემას, აქაც განსაკუთრებული პირობები იყო საჭირო. ლოვჩენი არ დაეცემოდა იმ შემთხვევაში თუ მთაშაველთ ეყოლებოდათ მეცხოვნე ჯარები და სათანადო არტილერია. მისი დაცვა შეიძლებოდა ხმელეთით და კატაროს ყურედგანაც. ასე რომ ბრალის დადება, თუ მთაშაველებმა რატომ არ დაიცვეს ლოვჩენიო, არავითარ საფუძველს არა ჰპოვებს. რუსეთს შეეძლო პური და ფული მიეწოდებინა. მაგრამ რაკიღა ავსტრიის ფლოტი სდარაჯობდა ყოველს მისავალ გზას, ამის მიწოდება შეუძლებელი გახდა, ასე რომ საყვედური ვერ ეთქმის ვერც რუსეთს და ვერც მთაშაველებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთაშაველნი მთელი 18 თვის განმავლობაში უმაგალითოდ იბრძოდნენ და აუწერელი ტანჯვაც აიტანეს. ყოველ მხრივ ისინი შემორტყმულნი იყვნენ. ქვეყანა გაოცებული იყო ამ გმირთა არწივისებური მამაცობ თ. ამიტომ ცოდვაა რაიმე ბრალდების გადასროლა საქმის გამოურკვევლად. ამას დრო უნდა, რომ გმირთა სახელი ტყუილ-უბრალოდ არ შეილახოს.

— —

... ქვეყანა განცვიფრებულია მთაშაველთა კაპიტულიაციის გამო. „მართალია?“ კითხულობენ აქეთ იქიდან. გასაკვირველი ქვეყანაზე არა არის რა, მაგრამ ღალატის მოხვევა პატარა ერის თავზე ეს ცოდვა არის. 1) არ არის მართალი, ვითომ მთაშაველთ ეღალატნოთ. რუსეთის გამარჯვებასთან გამარჯვებას იდღესასწაულებდა მთაშავეთიც. 2) მართალი არ არის ვითომც მათი ჯარები შესდგებოდა 35 ათასი კაცისაგან, ვითომც ყველანი კარგად შეიარაღებულნი იყვნენ, ვითომც მათ გარდა ლოვჩენს იცავდა 30 ათასი სერბელი, ვითომც ზურგი გამაგრებული ჰქონდათ ფრანგთა აუარებელი მძიმე თუ სუბუქი არტილერიით. ყველამ კარგად უწყიან, რომ ლოვჩენში სულ 5,800 მთაშაველი იდგა, რომ იქ არავითარი სერბელნი არ ყოფილან, თვით ერთი ჯარისკაციც კი. მართალია მხოლოდ ის, რომ ლოვჩენის მთაზე სულ ოთხი 12 დიუმიანი ზარბაზანი იდგა, რომელნიც ფრიად ძვირ ფასებში იყიდეს მთაშაველებმა იტალიელებისგან, მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის გამოუსადეგარი იყო. აგრეთვე 6 თექვსმეტ დიუმიანი ზარბაზანი იდგა, რომელიც რუსეთისგან შეიძინეს, მაგრამ უსარგებლოდ ეყარნენ, რადგანაც არავითარი ყუმბარა გასატენად არ მოეპოვებოდათ! მოგეხსენებათ, ღმერთამდინ ძიელ მაღალი მანძილია, რუსეთამდინ კი შორიგზაა და ვერც რუსეთს შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია მისთვის!

3) არ არის მართალი, ვითომც იტალეთს გაეგზავნოს მაშველი ჯარები ორ კორპუსამდე, არც ერთი იტალიელი არ გადმოსულა მთაშავეთში და ვერც გადმოვა დღეს, როდესაც მტერმა წაჰლეკა იგი.

4) არ არის მართალი, ვითომც მოკავშირეებს უზრუნველ ეყოთ მთაშავეთის სანაპიროები, ვითომც მათი ფლოტი დასცურავდა ადრიატიკის ზღვაზედ, ვითომც აქაედან სდარაჯობდნენ მტერს. რომ მთაშავეთისთვის არავითარი ზრუნვა არ გამოუჩენიათ, ეს სჩანს იქიდან, რომ ავსტრიელებმა სულ ადვილად მოსპეს მთაშაველთა ხომალდები, მათთვის სურსათით დატვირთული გემები, ამის გარდა, მტერი თავისუფლად ზღვიდან ანგრევდა ანტივარს, მაგრამ მოპასუხე კი არვინ სჩანდა.

5) არ არის მართალი ვითომც სერბელთ შეეგროვებინოთ 350 ათასიანი ლაშქარი, რომ მათი ძმური დახმარების იმედი ჰქონოდათ. მამაცმა ჯარის ნაშთმა მხოლოდ კორფუს მიაშურა და კარი გაუღო ალბანეთის მხრით მტერს შესასვლად.

6) არ არის მართალი, ვითომც მოკავშირეთ უზრუნველ ეყოთ მთაშავეთი სამხედრო მასალით და პროვიანტით, არც ის არის მართალი, ვითომც დასახმარებლად დესანტი გადმოესხათ. მთაშაველთ არავითარი არტილერია არ შერჩათ, ჰქონდათ მხოლოდ 23 ზარბაზანი, თითო 38 ყუმბარით, თოფები წაუხდათ, თვითოეულ კაცს 120 პატრონიც აღარ ჰქონდათ, ტყვისმფრქვეველებიდან $^1/_4$-ღა დარჩათ, ჩექმა არავის ჰქონდა, თავსახური და ჩასაცმელი, შიმშილი ხომ ყოველისფერს აგვირგვინებდა. გამოირკვა, რომ $^1/_8$ მთაშაველთა მშვიდობიანი მცხოვრებლებისა შიმშილით ამოწყდა...

7) არ არის მართალი, ვითომც ლოვჩენს მოკავშირენი ზღვიდან იცავდნენ. მთელი უბედურობა მთაშაველთ ზღვიდან დაატყდათ: ავსტრიელთა ჯავშნოსანნი ციხეს ციხეზე ანგრევდნენ. ნეტავ სად იყო ამ დროს მოკავშირეთა სახელოვანი ძლიერი ფლოტი?

8) არ არის მართალი, ვითომც ესად-ფაშას ალბანელებითურთ ომი გამოეცხადებინოს ავსტრიისთვის, ვითომც ალბანელნი მთაშაველებთან ერთად იბრძოდნენო. არა, ალბანელნი დაუცხრომელი მტრები იყვნენ და არიან მთაშავეთისა, რომელნიც მათ სამხრეთით ემუქრებოდნენ.

9) არ არის მართალი, ვითომც მთაშაველთა საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, ვითომც გამარჯვება ყოველთვის მათს მხარეზე იყო, ვითომც საქმე ისე წასულიყო, რომ დახმარებას აღარა სთხოვდნენ არც სერბებს და არც სხვებს. პირიქით, ის უფრო სინამდვილეს შეეფერება, რომ ყოველ დღე მთაშაველნი ჰკარგავდნენ საუკეთესო პოზიციებს და თვითეულ ნაბიჯზე ანაცვალებდნენ უკანასკნელ 300—600 კაცამდე. ეს კი 20 ათასიან ლაშქრისთვის საგრძნობელი დანაკლისი იყო. განა როდემდინ-ღა გასძლებდნენ?

10) არ არის მართალი, ვითომც მთაშაველთ არავისთვის მიემართნოთ შველისთვის. ეს წარმოუდგენელია, მთაშაველნი ავსტრიელთა წინააღმდეგ, მიუმატეთ ამათ წყეული ბულგარები და ალბანელები, ნუ თუ დასაჯერებელია, რომ მამაცობა ერთი მუჭა ხალხისა არ დაიმსხვრეოდა ესეოდენი ძალის წინაშე?..

ასეა თუ ისე, მთაშაველთ არავის წინაშე არა აქვთ რა გასაწითლებელი. იქ, სადაც მებრძოლმა მხარეებმა ექვს მილიონზე მეტი ტყვე დაანებეს მტერს, არ გაუკვირდება და არ შერცხვება მთაშავეთს, ამ „დაუმარცხებელ მთიელ ხალხს“ ესდენი გმირული თავ განწირულების შემდეგ დაეხარა ქედი ძლიერი მტრის წინაშე. მიკროსკოპიული სახელმწიფო ტიტანის მიერ შემუსრა. გასაოცარი არა არის რა... „ნ. ჟ.“

აზრუმისაკენ

ქეარიქეს პოზიციების აღების შემდეგ ერთი დაკვრით დაეცა ჰასან-კალა. ოსმალებმა აზრუმის ციხის კედლებს მიაშურეს, რათა საციხოსნო არტილერიას იხსნა იგინი სრული განადგურებისაგან.

ქალაქი ჰასან-კალა ქეპრიკედან ცულ შვიდიოდ ვერსის მანძილზეა. ახლა მორიგ საკითხათ თვითონ აზრუმის სიმაგრენი გარდაიქცა.

აზრუმის ციხე ნამდვილი ცენტრია ოსმალთა ყურადღებისა. ბულგარეთთან ომის შემდეგ ოსმალებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ ციხის გამაგრებას, როგორც საუკეთესო ბურჯს მცირე აზიისას და კავკასიაში შესასვლელ კარს. ახლა ოსმალებს მიემატნენ გერმანელებიც, რომელთაც არანაკლები ყურადღება მიაქციეს მის გამაგრებას. საინჟინრო ტეხნიკის გაუმჯობესობის გარდა მტერმა აქ დიდ ძალ არტილერიას მოუყარა თავი. თუ გავიხსენებთ აუარებელ სამხედრო მასალის მიზიდვას, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ციხეს ბრძოლა ერთი ათად მეტად შეეძლება ეხლა, ვიდრე როდისმე.

გასულ წელს მდგომარეობის პირობებმა რუსის ჯარს ხელი შეუშალა ციხესთან გაევითარებინათ მოქმედება. რუსთა წინსვლა მეტად სწრაფად ვითარდებოდა, მიტომაც ადვილად იქმნა შეჩერებული. დღეს პირობები შეიცვალა, მდგომარეობა მტკიცეა, რაიც რუსთა ჯარების მოქმედებას ფრიად შეუწყობს ხელსა.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს დარწმუნებულნი ვიყვნეთ, ვითომც დღეს ხვალე რუსები შემოერტყმიან ციხეს და ალყას შემოარტყმენ. არა, მთელი შემდეგი მოქმედება დამოკიდებულია თვით საზოგადო მდგომარეობის განმტკიცებიდან. ამ რაიონში სრულებით არ არის ხელსაყრელი გზები, რომ ზურგი გამაგრებული ჰქონდეთ ჯარებს. ყინულოვან მთებიდან ეხლა ეშვებიან რუსის ჯარები აზრუმის ღელისკენ და იქნებ ამან შეუწყოს ხელი მათს წინსვლას.

ასეა თუ ისე, მდგომარეობა ჯერ რუსების სასარგებლოდ ჰკლადებს. ოსმალნი აზრუმს ამოჰფარებიან და შორს მსროლელი ზარბაზნებით აძლევენ პასუხს. ვნახოთ, როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა. (უ. რ.)

პროვინციის ქრონიკა

აჭარა.

გადაწყვეტილია გახსნან სკოლები ხულოში, ქედაში, ყორონისთავში, სოფ. ალამბარაში, ჩხუტუნეთში, დორჯომში და საღორეთში.

სოფ. ალავერდი (ბორჩ. მაზრა).

აქ ომის სასარგებლოდ შეაგროვეს ფული და ყველამ გამოიღო თავისი წვლილი.

ქუთაისი.

შაქრის საკითხი მოწესრიგდა. რამდენიმე ვაგონი ერთად მიიღეს ადგილობრივმა ვაჭრებმა.

ქობულეთი.

ქართ. საზ. 12 იანვრისთვის საავადმყოფოს ხსნის. ექიმებს შესაფერ ბინას.

ბათომი.

6—7 იანვარს ბათომის მიდამოებში თოვლი მოვიდა.

ზემო განიხა (დუშ. მაზრა).

ეს სოფელი მდებარეობს დიდ მთების კალთებზე. დილის ათ საათზე მაღალ მთებიდან მოსკდა თოვლის ზვავი და იმსხვერპლა სამი ოჯახი.

მაჰმადიანთა ცხოვრება

კვირას 10 იანვარს „ისმაილის“ დარბაზში მაჰმადიანთა სასულიერო საზოგადოებამ „სადეეთმა“ გამართა დღესასწაული, დიდი ზეიმით გადიხადეს წინასწარმეტყველის დაბადების დღე. დაესწრო მთელი ბაქოს მაჰმადიანთა საზოგადოება.

სომეხთა ცხოვრება

ვენეციაში გარდაიცვალა სომხების ცნობილი ლინგვისტი ნორაირ ბიუზანდიანი.

რუსეთი

ოფიციალურად იყო უკვე გამოცხადებული, რომ მომქმედ ჯარმა 5 მილიონი სული ძროხა შთანთქა. გერმანეთის მიერ დაჭერილ ალაგებში მოჰყვა 4 მილიონი სხვილ ფეხა ძროხა.

ნარევი

როგორ შოულობენ მარგალიტებს.

ყველაზე ძნელი საშოვნელი მარგალიტია. როგორც ვიცით მარგალიტი ზღვის ლოკოკინას ზურგში ეზრდება. მრავალი მაძიებელი დაღუპულა და დღესაც იღუპებიან. ერთმა გემის უფროსმა მარგალიტის მქონე ლოკოკინები ერთს ზღვის კიდესთან შენიშნა. განიზრახეს ეპოვათ მათი ბუდე. განსაკუთრებულ სამოსს აცმევენ იმ მეზღვაურს, რომელსაც მარგალიტების საძიებლად ზღვაში უშვებენ. მეზღვაურს თან აქვს ელექტრონის ლამპარი. ამასთანავე მეზღვაური ისე გვარად არის მოწყობილი, რომ შეუძლიან ანიშნოს ან დაბლა ჩაშვება, ან ზევით ამოყვანა. კაპიტანმა ჩაუშვა მარგალიტების მაძიებელი, რომელმაც წყალში ყოფნისას შეამჩნია ერთი უშველებელი კლდე, რომლის გამოქვაბულშიაც ირეოდნენ ზღვის სხვა და სხვა საშინელი ცხოველები. ერთხანად შეკრთა მეზღვაური და ანიშნა შეეჩერებინათ, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ხელახლად ანიშნა, რომ უფრო ჩაეშვათ. ნახა აუარებელი ლოკოკინები, მაგრამ გამოქვაბულში მიიმალნენ. საჭირო იყო გამოქვაბულში შესულიყო; ამ დროს მეზღვაურმა დაინახა რომ მისკენ რამდენიმე უზარმაზარ ობობას მსგავსი ცხოველი მოსცურავდა. იგრძნო, რომ ვიღაცამ მარჯვენა ხელი დაუჭირა. მეზღვაურმა დანით გადასჭრა, მაგრამ მეორემ წელში მოჰხვია ხელი. გველივით ეხვეოდა და თავისკენ იზიდავდა. საქმე გაჭირდა. სხვა წურბელების მსგავსი ხელები მისკენ მოსცურავდნენ. ვერაფერი გაეწყო მეზღვაურს. საშუალება მოესპო, რომ გემზე ენიშნებინა ამწევითო. იღუპებოდა. ამ დროს წყალი საშინლად შეირხა და გრიალის ხმა გაისმა. ზღვის ობობებმა მეზღვაურს თავი მიანებეს. უშველებელი თევზი მოჰქროდა ობობებისკენ. ერთი გადაყლაპა და მეორეს გამოედევნა. ბედზე გადარჩა მეზღვაური.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53 საღ.
„	საფ. „	3	9.58 დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20 ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20 საღ.
„	ჩქარი „	6	12.8 დღის
„	სამგ. „	8	11.13 ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13 ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30 საღ.
„	სამგ. „	10	9.51 დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3 დილ.
„	ჩქარი „	5	7.41 საღ.
„	სამგ. „	7	1.42 ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25 დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8 დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან . .	10 „	42 „	„
იორიდან . . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან . .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	15	დღის
მელაანიდან . . .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან . .	4 „	58 „	„
თელავში მიდის .	5 „	35 „	„
გურჯაანიდან . .	4 „	18 „	„
კარდენახიდან . .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან . .	10 „	46 „	„
მელაანიდან . .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან . .	2 „	15 „	„
იორიდან . . .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან . . .	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ. .	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის .	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან .	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9 „	46 „	„
გურჯაანში მიდის	10 „	16 „	„

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Гл‑вваго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12.

Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვედ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладз:.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირი ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეფუთლოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.